დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N18

2015 წლის 6 თებერვალი

ქ. დუშეთი

დიზელის საწვავის გამარტივებული წესით შესყიდვაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დიზელის საწვავის მიწოდებაზე გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიების შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმისა“ და შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ავტოგასამართი სადგურებიდან არც ერთი არ მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტის (შემსყიდველი) ადმინისტრაციული შენობის განთავსების ადგილიდან (ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. #27) 15 კილომეტრის რადიუსში. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიმწოდებლისაგან საწვავის შესყიდვა იწვევს სახელმწიფო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურისაგან შემსყიდველი ორგანიზაციის 15 კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორების გამო, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, სხვა მიმწოდებლისაგან ლოკალური აუცილებლობისათვის საჭირო მოცულობის საწვავი შეისყიდოს საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაუდებელი აუცილებლობისას, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიისადმი მიმართვის გარეშე“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ითხოვს თანხმობას, რათა ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო და აუცილებელი საწვავისშესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის,ამავე კანონის მე-10^1 მუხლის მე-3პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო

შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს 400 (ოთხასი) ლიტრი დიზელის („დიზელ ენერჯი“) საწვავის გამარტივებული წესით შესყიდვაზე.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ლაფანაშვილი